**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**
**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
**ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1575/ს

27/08/2021 1575-11-4-202108271616

**შპს ,,კავკასიის სამთო ჯგუფი“-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 823249 კვ.მ. მიწის ფართობზე სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული “ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების მე-12 მუხლის, მე-60 მუხლის პირველი პუნქტის “ზ“ ქვეპუნტის, 62-ე მუხლის 4; 5; 6 პუნქტების, 96-ე მუხლის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 26/08/2021წ. N 13996 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სახელმწიფო ტყეში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ლიც.N1005314) ლიცენზიით განსაზღვრული - წიაღის შესწავლა-მოპოვების სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფს“ (ს/კ:N 404 908 775), ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N20 კვარტლის NN17;18;19;20;24;25 ლიტერებში, N21 კვარტლის NN 1;2;3;4;5;6;7;9;13;14;15;16;21 ლიტერებში და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, ამავე სატყეო უბნის დარბაზის სატყეოს N31 კვარტლის NN13;15;18;19 ლიტერებში, N33 კვარტლის NN16;17;23;24;25 ლიტერებში, N40 კვარტლის NN 25;26;28;33 ლიტერებში და N42 კვარტლის NN5; 8 ლიტერებში, 823249 კვ.მ. (ს/კ: N80.12.68.194; N80.10.71.005; N80.14.61.415; N80.10.68.118; N80.10.71.002; N80.10.71.003; N80.10.68.119; N80.12.68.185; N80.12.68.186; N80.12.68.189;

N80.12.68.187; N80.10.71.004; N80.12.68.192; N80.14.61.414; N80.12.68.188; N80.12.68.184; N80.12.68.191; N80.12.68.193; N80.12.68.190) მიწის ფართობზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 24.03.2020წ. N482/ს და 05.10.2020წ. N2027/ს ბრძანებებით განსაზღვრული - სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის ფარგლებში, მიწის სამუშაოების და 1996.99 კბ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური ჭრების განხორციელების ნებართვა გაუგრძელდეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის მიზნით 2021 წლის 12 ოქტომბრამდე, ხოლო მოპოვების მიზნით 20 წლის ვადით.

2. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, სამუშაოების დაწყებამდე, ტყითმოსარგებლეს გაუფორმოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულება და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3. N221 დადგენილების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ტყის მართვის ორგანოს მიერ, სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით, ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის ტრანსპორტირება და დასაწყობება განახორციელოს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში.

5.სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი

პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

7.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 984/ს

15/06/2022 984-11-4-202206151517

**სს "RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 3883 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის პირველი პუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის 4;6 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 14/06/2022წ. N11060 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N23 კვარტლის მიმდებარედ არსებულ ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, სახელმწიფო ტყის 3883 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ:N80.14.65.417; N80.14.65.418), სასარგებლო წიაღისეულის (ლიც.N1005456) მოპოვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, მათ შორის: მილსადენებისა და გზების მშენებლობა/ფუნქციონირების (მათ შორის, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, დემონტაჟი) და ამისათვის აუცილებელი მიწის სამუშაოების, აგრეთვე, მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების განხორციელების მიზნით, სს

“RMG Copper”-ს (ს/კ:225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), ლიცენზიის მოქმედების ვადით (2041 წლის 16 აპრილამდე), 2.28 კვ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრის ნებართვით, მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, სულ: 6031.20 (ექვსი ათას ოცდათერთმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარის ოდენობით.

5. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით, ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება-ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის გამოტანა და დასაწყობება განხორციელდეს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში

6. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის

შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ალადაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 986/ს

15/06/2022

986-11-4-202206151729

**სს "RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 6153 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის პირველი პუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის 4;6 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 14/06/2022წ. N11068 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N 21 კვარტლის N16 ლიტერში, N23 კვარტლის N25 ლიტერში და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, სახელმწიფო ტყის 6153 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ:N80.10.71.015; N80.14.65.423; N80.14.65.424; N80.14.65.427; N80.14.65.425; N80.14.65.426; N80.14.65.428; N80.14.62.473; N80.14.65.429; N80.14.62.474; N80.14.62.475; N80.14.62.476), სასარგებლო წიაღისეულის (ლიც. N1005456) მოპოვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით (მათ შორის: მილსადენების და გზების მშენებლობა-ფუნქციონირება (რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, დემონტაჟი) და

ამისათვის აუცილებელი მიწის სამუშაოებისათვის, აგრეთვე, მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოებისათვის, სს “RMG Copper”-ს (ს/კ:225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), ლიცენზიის მოქმედების ვადით (2041 წლის 16 აპრილამდე), 11.71 კვ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრის ნებართვით, მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე ქვემო ქართლის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4. ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, სულ: 13498.47 (ცამეტი ათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 47 თეთრი) ლარის ოდენობით.

5. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით, ხოლო საშეშე მერქნული რესურსის – დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება-ჩაბარების აქტით. მერქნული რესურსის გამოტანა და დასაწყობება განხორციელდეს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში

6. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ალადაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1660/ს

03/08/2022 1660-11-4-202208031800

**„შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“- სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 823249 კვ.მ. მიწის ფართობზე სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2021 წლის 27 აგვისტოს N1575/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 03/08/2022წ. N16276 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“- სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 823249 კვ.მ. მიწის ფართობზე სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2021 წლის 27 აგვისტოს N1575/ს ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

**ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

სს „RMG Copper”-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში,

823249 კვ.მ. მიწის ფართობზე სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების ვადის გაგრძელების შესახებ“

**ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. სახელმწიფო ტყეში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ლიც.N10002890) ლიცენზიით განსაზღვრული - წიაღის მოპოვების სამუშაოების განხორციელების მიზნით, სს „RMG Copper“-ს (ს/კ:225 358 341 შემდგომში - ტყითმოსარგებლე), ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეოს N20 კვარტლის NN17;18;19;20;24;25 ლიტერებში, N21 კვარტლის NN 1;2;3;4;5;6;7;9;13;14;15;16;21 ლიტერებში და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში, ამავე სატყეო უბნის დარბაზის სატყეოს N31 კვარტლის NN13;15;18;19 ლიტერებში, N33 კვარტლის NN16;17;23;24;25 ლიტერებში, N40 კვარტლის NN 25;26;28;33 ლიტერებში და N42 კვარტლის NN5; 8 ლიტერებში, 823249 კვ.მ. (ს/კ: N80.12.68.194; N80.10.71.005; N80.14.61.415; N80.10.68.118; N80.10.71.002; N80.10.71.003; N80.10.68.119; N80.12.68.185; N80.12.68.186; N80.12.68.189; N80.12.68.187; N80.10.71.004; N80.12.68.192; N80.14.61.414; N80.12.68.188; N80.12.68.184; N80.12.68.191; N80.12.68.193; N80.12.68.190 ) მიწის ფართობზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 24.03.2020წ. N482/ს და 05.10.2020წ. N2027/ს ბრძანებებით განსაზღვრული - სპეციალური (განსაკუთრებული) დანიშნულებით ტყითსარგებლობის ფარგლებში, 1996.99 კბ.მ. სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის სპეციალური სარგებლობის ჭრების ნებართვით, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება გაუგრძელდეს ლიცენზიის მოქმედების ვადით (2041 წლის 13 ოქტომბრამდე).

**გ) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე, სამუშაოების დაწყებამდე, ტყითმოსარგებლესთან გაფორმებულ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტში განახორციელოს ცვლილება ამ ბრძანების შესაბამისად.“

**დ) ბრძანების მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის დარეგისტრირებულ უფლებში განახორციელოს ცვლილება ამავე ბრძანების შესაბამისად და

სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი მუკნიაშვილი

სააგენტოს უფროსი